ოქმი:ო63. 63263064
თარიღი:02/11/2026

სამტრედიის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის სხდომის

ო ქ მ ი N12

27 ოქტომბერი.2026 წელი.

მიმდინარე წლის 27 ოქტომბერს სამტრედიის მუნიციპალიტეტის VI მოწვევის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, მანანა სირბილაძის თავმჯდომარეობით, ჩატარდა იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: მანანა სირბილაძე, მარიამ ცომაია, პაატა კოხრეიძე, მაია ტალაბაძე, გოჩა არველაძე, თენგიზ ცაგურია, გიორგი გაგუა, ანა გეგეშიძე.

დღის წესრიგი:

1.,, სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიშების მომსახურე კომერციული ბანკის შესარჩევი პირობების და შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 აპრილის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

***მომხსენებელი: მანანა სირბილაძე**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.

2.სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარის წინადადებით, კომისიის წევრებმა (8 ხმით) კენჭი უყარეს დღის წესრიგს.

კენჭისყრის შედეგად, იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის წევრთა (8 ხმით) დღის წესრიგი იქნა დამტკიცებული წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარემ, მანანა სირბილაძემ, კომისიის წევრებს გააცნო საკითხი სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიშების მომსახურე კომერციული ბანკის შესარჩევი პირობების და შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 აპრილის N18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მანანა სირბილაძე - ცვლილება მდგომარეობს შემდეგში :

,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიშების მომსახურე კომერციული ბანკის შესარჩევი პირობების და შერჩევის წესი''-ს პირველი მუხლის პირველი პუნქტის ,,ა''-ქვეპუნქტის ცვლილებით, პირველი მუხლის პირველი პუნქტის ,,ა''-ქვეპუნქტი შესაბამისობაში მოვა ,,კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ'' საქართველოს კანონის მე-VII თავით დადგენილ წესთან.

სხვა ცვლილებები გამოწვეულია იმით, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკონკურსო პირობები გარდა ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიშების მომსახურე კომერციული ბანკის შესარჩევი პირობების და შერჩევის წესი''-ს პირველი მუხლის მე-3, მე-4, მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებებისა შეიძლება ითვალისწინებდეს სხვა ვალდებულებებს, რაც ასახული უნდა იყოს საკონკურსო განცხადებაში.

მუხლი 1.

1. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიშების მომსახურე კომერციული ბანკის შესარჩევი პირობების და შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ” სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 აპრილის №18 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი, 28/04/2015. სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 010250020.35.120.016159) შეტანილ იქნეს ცვლილება.

2. ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიშების მომსახურე კომერციული ბანკის შესარჩევი პირობების და შერჩევის წესის დამტკიცების შესახებ” სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 აპრილის №18 დადგენილებით დამტკიცებული ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მიმდინარე ანგარიშების მომსახურე კომერციული ბანკის შესარჩევი პირობების და შერჩევის წესი''-ს:

ა) პირველი მუხლის პირველი პუნქტის ,,ა''-ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,ა) კომერციული ბანკის მიმართ არ უნდა მიმდინარეობდეს რეზოლუციის ან ლიკვიდაციის პროცესი;''

ბ) ამოღებულ იქნეს პირველი მუხლის მე-7 პუნქტის ,,ბ''-ქვეპუნქტი;

გ) პირველ მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7^1 პუნქტი:

,,7^1. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკონკურსო პირობები გარდა ამ მუხლის მე-3, მე-4, მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებებისა შეიძლება ითვალისწინებდეს სხვა ვალდებულებებს, რაც ასახული უნდა იყოს საკონკურსო განცხადებაში.

კომისიის წევრებმა მოისმინეს და დააფიქსირეს მოსაზრებები.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (8 ხმით), იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის წევრებმა

ზემოაღნიშნული მიიღეს ცნობის სახით.

ამით დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოწურულია.

სხდომის მდივანი: / ნათია დოლიძე/

მანანა სირბილაძე

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
იურიდიული, ადამიანის უფლებათა დაცვის,
საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისია-
იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის,
საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი